ანგარიში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ანგარიშს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის გაწეული მუშაობის შესახებ 2015 წლის 08 დეკემბრის მდგომარეობით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე ხელ-მძღვანელობს რა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებით, გარკვეულ მუშაობას ატარებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველ-საყოფად. დადგენილია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მთავარი სპეცია-ლისტი. დამტკიცებულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველ-ყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამსახურებრივი ინსტრუქცია, საინფორმაციო დაფაზე გან-თავსებულია პასუხისმგებელი პირის ვინაობა და საკონტაქტო ტელეფონები, სამ-სახურებრივი ინსტრუქცია და საქართველოს კანონი „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ".

2015 წლის 08 დეკემბრის მდგომარეობით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია 984 მომართვა საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით. ამათგან, 975-ზე (7 დამუშავების პროცესშია) გაცემულია საჯარო ინფორმაციები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დაცვით. გაცემული ინფორმაციების ქსეროასლების რაოდენობა შეადგენს A4 ფორმატის 60881 გვერდს, გადახდილია საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღებისათვის მოსაკრებელი თანხა 3044.5 ლარის ოდენობით. ადგილი არ ჰქონია საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმას, შესაბამისად, გასაჩივრების ფაქტებიც არ დაფიქსირებულა.